განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს1, 18.01.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №2, 20.01.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს15-24, 02.10.2024

ცვლილებები დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №22, 04.10.2024

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური/ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი / Bachelor of International Relations

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული ასისტ. პროფ. თათია დოლიძე, ელ. ფოსტა: tatia.dolidze@eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი);

ბ) ინგლისური ენა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51% ;

გ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია/მათემატიკა/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალურობა

ურთიერთდამოკიდებულების ქსელში გახვეულ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთათვის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავება და ეკონომიკური კეთილდღეობის საჭიროებების დაკმაყოფილება საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია. მუდმივად მზარდი პოლიტიკური გლობალიზაციის პირობებში, შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობები ერთ-ერთ ყველაზე საჭირო და აქტუალურ სასწავლო პროგრამად გვევლინება, რამდენადაც მის ძირითად შესწავლის საგანს სწორედ ერი-სახელმწიფოები და ის საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობითაც ისინი ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის, რომლის ეროვნული ინტერესების რეალიზება ძლიერ სახელმწიფოებთან მიმართებით მიღებულ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციასა თუ სხვა ტიპის საერთაშორისო ჩართულობაზეა დამოკიდებული. ამავდროულად, თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი გამოწვევები კომპლექსური ხასიათისაა და სცილდება არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ დისციპლინალურ საზღვრებს, რაც დამატებით განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც გლობალურ აზროვნებაზე ორიენტირებული და ინტერდისციპლინარული პროგრამის აქტუალურობას.

პროგრამის მიზნები

I. მოამზადოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე საერთაშორისო ურთიერთობების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ პოლიტიკის შემქმნელის, აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე ნაყოფიერ საქმიანობას.

II. განუვითაროს სტუდენტებს ჰოლისტიკური და მულტიდისციპლინარული აზროვნება, და "რბილი" თუ "მყარი" უნარები, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემის წინაშე არსებული კომპლექსური და მრავალმხრივი პრობლემების ანალიზის, პრევენციის, მათზე რეაგირებისა თუ მათთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის.

III. ხელი შეუწყოს სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ზოგადსაკაცობრიო და ევროპული ღირებულებები, თუ მორალური და ეთიკური ნორმები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ღირსეული პროფესიული მოღვაწეობისთვის.

სწავლის შედეგები

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი შედეგების მიღწევას, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება

1. სტუდენტი **ასახელებს** საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებს, **აღწერს** მათ შორის მოქმედ საკვანძო საერთაშორისო სახელშეკრულებლო და ჩვეულებით ნორმებს, და **განმარტავს** მათ როლს საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვასა და განმტკიცებაში;
2. სტუდენტი **აყალიბებს** ეკონომიკის ძირითად პრინციპებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეებზე და **განმარტავს** ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიმართებას პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ თუ ეკოლოგიურ პროცესებთან.
3. სტუდენტი **ახდენს** სახელმწიფო, რეგიონალური თუ საერთაშორისო მასშტაბის უსაფრთხოების გამოწვევების **იდენტიფიცირებას, განარჩევს** მათ სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბუნებას და **განიხილავს** მათთან გამკლავების საშუალებებს.
4. სტუდენტი **განმარტავს** პოლიტიკის განმსაზღვრელ საკვანძო ცნებებს, იდეებსა თუ პრინციპებს, ერთმანეთს **ადარებს** სხვადასხვა ბუნების პოლიტიკურ სისტემებსა და რეჟიმებს და **თხრობით გადმოსცემს** პოლიტიკური თეორიებისა და პრაქტიკის განვითარების ისტორიას;
5. სტუდენტი **მიმოიხილავს** სამთავრობათაშორისო თუ ზეეროვნული ხასიათის საერთაშორისო და რეგიონალურ ინტეგრაციულ პროცესებს, **აღწერს** დიდ და პატარა ქვეყნებში საგარეო პოლიტიკის ფორმირების საფუძვლებს და **აანალიზებს** შიდა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთქმედებას.

უნარები

6. სტუდენტი **აფასებს** საერთაშორისო, ევროპულ თუ შიდა სამართლებრივ მოცემულობას, როგორც კონკრეტული პოლიტიკის გატარების საფუძველს, ან ხელისშემწყობ თუ ხელისშემშლელ ფაქტორს;
7. სტუდენტი **ადგენს** შიდა და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების ეკონომიკურ მიზანშეწონილობას და **პროგნოზირებს** რიგი ეკონომიკური გათვლების ეკოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ ფასს;
8. სტუდენტი **სახავს** ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებელ გზებს შესწავლილი კონცეფციებისა და თეორიების **გამოყენებით;**

9. სტუდენტი **განსჭვრეტს** სახელმწიფოთა ქცევას და **მსჯელობს** მსოფლიო სახელმწიფო, რეგიონალურ და მსოფლიო პოლიტიკაზე მულტიდისციპლინარული, შედარებითი და ისტორიული პერსპექტივიდან;
10. სტუდენტი **პრაქტიკაში იყენებს** საბაზისო კვლევით, ციფრულ და აკადემიური წერის უნარებს, ასევე ინგლისურ და გაეროს სამუშაო ენებიდან მისთვის სასურველ მეორე უცხო ენას, ახალი ინფორმაციის მოძიებისა და ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციისთვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

11. სტუდენტი **ცნობს** ევროპულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მდგრადი განვითარება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, და **აღიარებს** სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელობას მათი დაცვის მხრივ;
12. სტუდენტი **ცნობს** საერთაშორისო ურთიერთობებში ეთიკური და მორალური ნორმების დაცვის საჭიროებას, და **აღიარებს** კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკური, დიპლომატიური და სამართლებრივი მექანიზმების მნიშვნელობას მსოფლიო მშვიდობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. დანართი #1).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიიღწევა (იხ. დანართი #2).

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) საფუძველზე. 1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს, ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს (სულ 6000 საათს); სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ფარგლებში, პროგრამა გასცემს ცოდნას ეკონომიკის, საერთაშორისო სამართლის, უსაფრთხოების, პოლიტიკური ფილოსოფიისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებებით საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, და ასევე მოიცავს დარგის სფეციფიკური პროფესიული ცოდნისა და უნარების გამომუშავება-გაღრმავებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს. კერძოდ:

საგარეო პოლიტიკის ქოლგის ქვეშ ერთიანდება 8 სავალდებულო სასწავლო კურსის სახით; პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით პროგრამაში გათვალისწინებულია 7 სავალდებულო სასწავლო კურსი; უსაფრთხოების საკითხებს ფარავს 6 სავალდებულო სასწავლო კურსი; საერთაშორისო სამართლის მიმართულებას 4 სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო ეკონომიკის მიმართულებას - 3 სავალდებულო სასწავლო კურსი (8:7:6:4:3).

არჩევითი სასწავლო კურსები შემდეგი რაოდენობითაა შეთავაზებული: საგარეო პოლიტიკის ქოლგის ქვეშ ერთიანდება 7 არჩევითი სასწავლო კურსი; პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით პროგრამაში გათვალისწინებულია 4 არჩევითი სასწავლო კურსი; უსაფრთხოების საკითხებს ფარავს აგრეთვე 4 არჩევითი სასწავლო კურსი; ეკონომიკის მიმართულებას 5 არჩევითი სასწავლო კურსი, ხოლო საერთაშორისო სამართლის მიმართულებას - 5 არჩვითი სასწავლო კურსი (7:4:4:5:5). სტუდენტს ეძლევა საშუალება თავად გადაწყვიტოს, გაჰყვება დაბალანსებულ ინტერდისციპლინარულ მიდგომას, თუ ცოდნას გაიღრმავებს ერთი რომელიმე კონკრეტული ზემოაღნიშნული მიმართულებით, ხოლო სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს შეუქმნას საერთაშორისო ურთიერთობების გაგება-გააზრებისთვის აუცილებელი ინტერდისციპლინარული ბაზისი.

ამას გარდა პროგრამაში გათვალისწინებულია 1 სავალდებული სასწავლო კურსი კვლევის მეთოდების სახით და 9 არჩევითი სასწავლო კურსი, რომლებიც ცალკეული პროფესიული უნარების განვითარებას ემსახურებიან.

პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის სახით მოცემულია ასევე სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, მათ შორის უცხო ენები. ინგლისური ენის შესწავლა იწყება B1 დონიდან და ხდება ცოდნის გაღრმავება B2 დონის ჩათვლით. მეორე უცხო ენად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს გაეროს დანარჩენი 5 სამუშაო ენიდან ნებისმიერი და შეისწავლოს A1 დონიდან B2-მდე (B1.2-ის ჩათვლით).

თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, პროგრამულად გამოყოფილია აგრეთვე 10 თავისუფალი კრედიტი, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან,

მათზე დაშვების წინაპირობების დაცვით; არჩევითი თავისუფალი კომპონენტის დატვირთვა გახლავთ აგრეთვე პროგრამის მოქნილობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტთაშორისი მობილობის კონტექსტში და საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტების ხელშეწყობა, აითვისონ ინგლისური ენის ცოდნის ის დაბალი დონეები (A1, A2), რომელთა სწავლებასაც სტანდარტულ შემთხვევაში სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს.

სასწავლო მიმართულებების მიხედვით საგნების კლასიფიკაცია და მათი ზემოაღნიშნული პრიორიტეტიზაცია მიზნად ისახავს, პროგრამას შესძინოს თანმიმდევრულობა და მოაქციოს ერთიანი ლოგიკური ჩარჩოს ქვეშ, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს სხვადასხვა დისხიპლინაში ცოდნის გაბნევის რისკი.

სქემა #1: საერთაშორისო ურთიერთობების ინტერდისციპლინარული პროგრამის საორიენტაციო რუქა

თემატიკა: საერთაშორისო სამართალი **სავალდებულო (4)** 1. შესავალი საერთაშორისო სამართალში 2. საერთაშორისო საჯარო სამართალი 3. საერთაშორისო ხელშეკრულებები 4. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	თემატიკა: ეკონომიკა **სავალდებულო (3):** 1. ეკონომიკის პრინციპები: მიკროეკონომიკა 2. ეკონომიკის პრინციპები: მაკროეკონომიკა 3. საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკა
არჩევითი (5) 1. დიპლომატიური და საკონსულო სამართალი 2. საერთაშორისო სისხლის სამართალი 3. თანამედროვე სახელმწიფო და დემოკრატია 4. ევროკავშირის სამართალი 5. სამართალმცოდნეობის საფუძვლები	**არჩევითები (5):** 1. გეოეკონომიკა 2. ევროკავშირის ეკონომიკა 3. პოსტ-კომუნისტური ეკონომიკური ტრანზიცია 4. მწვანე ეკონომიკა 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
თემატიკა: უსაფრთხოება **სავალდებულო (6):** 1. საერთაშორისო უსაფრთხოების თეორიები 2. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა 3. საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება 4. ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება	თემატიკა: პოლიტიკური ფილოსოფია **სავალდებულო(7):** 1. პოლიტიკური აზრის ისტორია 2. პოლიტიკური იდეოლოგიები 3. მმართველობითი სისტემები 4. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები 5. შედარებითი პოლიტიკა 6. ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია

5. საქართველოს კონფლიქტების ანალიზი 6. ჰიბრიდული ომის წარმოება	7. საჯარო პოლიტიკა
არჩევითები (4): 1. ომის თეორიები 2. სამხედრო ოპერაციების გააზრება 3. საერთაშორისო ტერორიზმი 4. საქართველოს ენერგო უსაფრთხოება	**<u>არჩევითები(4):</u>** 1. პარტიული პოლიტიკა 2. პოლიტიკური პიარი 3. ჰოლოკოსტის ნარატივი 4. ევროპული ინტეგრაციის თეორიები
თემატიკა: საგარეო პოლიტიკა **სავალდებულო (8):** 1. შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2. დიპლომატიის ისტორია 3. საერთაშორისო ორგანიზაციები და ინტეგრაციული პროცესები 4. ევროპული ინტეგრაციის ისტორიები 5. საქართველოს საგარეო პოლიტიკა 6. საერთაშორისო ენერგეტიკული ურთიერთობები 7. პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა 8. საგარეო პოლიტიკის ანალიზი	თემატიკა : პროფესიული უნარები **სავალდებულო (1)** 1. კვლევის მეთოდები
არჩევითები (7): 1. რეგიონალიზაციის პროცესები სამხრეთ კავკასიაში 2. ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა 3. ამერიკის საგარეო პოლიტიკა 4. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 5. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა 6. ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონების პოლიტიკა 7. ინსტიტუტები და განვითარება	**არჩევითები (9):** 1. პროექტების წერა 2. საჯარო მეტყველება 3. მოლაპარაკებები და მედიაცია 4. დებატების ხელოვნება 5. ადვოკატირება და ლობი 6. სტრატეგიული დაგეგმარება 7. სოციალური მედია და სტრატეგიული კომუნიკაცია 8. პრაქტიკა 9. პროფესიული კარიერის განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება შემდეგნაირია:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ჯამური მოცულობა შეადგენს 181 კრედიტს, მათ შორის:

  ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 145 კრედიტი;

  ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევთი კომპონენტი - 36 კრედიტი;

- სავალდებულო და არჩევითი თავისუფალი კომპონენტების ჯამური მოცულობა შეადგენს 59 კრედიტს, მათ შორის:

  ა) სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი - 49 კრედიტი;

  ბ) არჩევითი თავისუფალი კომპონენტი - 10 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. დანართი #5).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი პროგრამის კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი მოიპოვებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8 მე-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკური მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50%, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% + 1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი)

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია, იმუშაოს საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორში პოლიტიკის შემქმნელის, აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე.

საჯარო სექტორში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები მეტწილად საქმდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროში ან ნებისმიერი სხვა სამინისტროსა თუ სახელმწიფო უწყების საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტებში ისევე, როგორ მთავრობათაშორის რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ ნებისმიერ სააგენტოსა თუ ინსტიტუტში; კერძო სექტორში სართაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს ძირითადად შეხვდებით ტრანსნაციონალურ კორპორაციებში და საერთაშორისო პროფილის მქონე სხვა მათ შორის საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებში; ხოლო არასამთავრობო სექტორში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების ძირითადად დასაქმების ადგილი არის ადგილობრივი, რეგიონალური თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში, კანომდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი:

აფილირებული ასისტენტ-პროფესორი თათია დოლიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:

სოფო ხუნდაძე